კაზუსი

სამხედრო სამსახურზე

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით განისაზღვრა სამხედრო სამსახურის გასავლელად კონტრაქტის ფორმა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციას დაევალა შალვა ნუცუბიძესთან ხსენებული კონტრაქტის გაფორმება. 2013 წლის 25 აპრილს შალვამ ხელი მოაწერა ფოსტით მიღებულ კონტრაქტს, რომელიც უკვე ხელმოწერილი იყო სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ და იგი, ფოსტის საშუალებით, უკან დაუბრუნა ადმინისტრაციულ ორგანოს.

კონტრაქტის 1.1. მუხლით, შალვამ იკისრა ვალდებულება განსაზღვრული პირობებით, კეთილსინდისიერად ემსახურა სამხედრო სამსახურში. 4.1. მუხლის მიხედვით, ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრა 50 საათის ოდენობით. 4.2. მუხლით შალვას ჰქონდა უფლება ესარგებლა ყოველწლიური შვებულებით 25 კალენდარული დღის ოდენობით.

დავალება:

1. განსაზღვრეთ, თავდაცვის სამინისტროსა და შალვა ნუცუბიძეს შორის გაფორმებული კონტრაქტის სამართლებრივი ბუნება.

2. შეამოწმეთ კონტრაქტის კანონიერება.

საქართველოს კანონი **„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“:**

მუხლი 2.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად კონტრაქტის ფორმას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

საქართველოს კანონი **„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“:**

მუხლი 10.

1. სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას.

მუხლი 11.

1. სამხედრო მოსამსახურის ყოველკვირეული სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა, ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული შემთხვევების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობას.

4. სამხედრო სამსახურის გავლისას სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონი **„საქართველოს შრომის კოდექსი“:**

მუხლი 14.

1. დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

შინაარსი

(1) ჰიპოთეზა: 4

(2) სამართლის ნორმა: 4

(3) სუბსუმცია: 4

ა. ადმინისტრაციული ორგანო: 4

ბ. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი: 4

1. ჰიპოთეზა: 4

2. სამართლის ნორმა (დეფინიცია): 4

3. სუბსუმცია: 4

4. დასკვნა: 5

გ. ორმხრივი ნება: 5

1. ჰიპოთეზა: 5

2. სამართლის ნორმა (დეფინიცია): 5

3. სუბსუმცია: 5

4. დასკვნა: 6

(4) შუალედური დასკვნა: 6

ფორმალური კანონიერება 6

(1) ჰიპოთეზა: 6

(2) სამართლის ნორმა (დეფინიცია): 6

(3) სუბსუმცია: 6

(4) დასკვნა: 6

მატერიალური კანონიერება 7

(1) ჰიპოთეზა: 7

(2) სამართლის ნორმა (დეფინიცია): 7

(3) სუბსუმცია: 7

ა. სამოქალაქო და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებთან შესაბამისობა: 7

1. ჰიპოთეზა: 7

2. სამართლის ნორმა: 7

3. სუბსუმცია: 7

4. დასკვნა: 7

ბ. კონსტიტუციასთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობა: 8

1. ჰიპოთეზა: 8

2. სამართლის ნორმა: 8
3. სუბსუმცია: 8
4. დასკვნა:..... 8
(4) დასკვნა: 8
საბოლოო დასკვნა: 8
სზაკ-ის 67-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების დარღვევის მაგალითი 8

კაზუსის ამოხსნა

(1) ჰიპოთეზა:

სავარაუდოდ თავდაცვის სამინისტროსა და შალვა ნუცუბიძეს შორის გაფორმებული კონტრაქტი არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

(2) სამართლის ნორმა:

სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ლეგალური დეფინიცია შედგება სამი ელემენტისგან:

ა. ადმინისტრაციული ორგანო;

ბ. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი;

გ. ორმხრივი ნება.

(3) სუბსუმცია:

ა. ადმინისტრაციული ორგანო:

იმის გათვალისწინებით, რომ კაზუსში პირდაპირაა მითითებული, რომ თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, უნდა დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო.

ბ. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი:

1. ჰიპოთეზა:

სავარაუდოდ ზემოხსენებული კონტრაქტი დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორცილების მიზნით.

2. სამართლის ნორმა (დეფინიცია):

„სამხედრო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 10.1. მუხლი და „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.4. მუხლი.

ხელშეკრულება დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, როდესაც იგი (ხელშეკრულება) მიზნად ისახავს საჯარო-სამართლებრივი ნორმის შესრულებას, ან ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ან ადგენს მოქალაქის საჯარო-სამართლებრივ უფლებებს და/ან ვალდებულებებს.

3. სუბსუმცია:

მოცემული ხელშეკრულებით შალვამ იკისრა საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება ემსახურა სამხედრო სამსახურში.

სპეციალური სამართლის (მოდიფიცირებულ სუბიექტთა) თეორიიდან გამომდინარე, სამხედრო სამსხურში მსახურობის ვალდებულება არის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის, რადგან აღნიშნული ვალდებულება შესაძლოა ჰქონდეს არა ნებისმიერ პირს, არამედ მხოლოდ მას, რომელთანაც თავდაცვის სამინისტრო გააფორმებს სამხედრო

სამსახურთან, როგორც სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახესთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას. თავდაცვის სამინისტროს გარდა, შეუძლებელია სხვა რომელიმე პირთან ხელშეკრულების გაფორმებით შალვას ეკისრა სამხედრო სამსახურში მსახურობის ვალდებულება.

მოცემული ხელშეკრულება მიზნად ისახავს საჯარო-სამართლებრივი ნორმების, „სამხედრო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 10.1. და „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.4. მუხლების, შესრულებას.

სპეციალური სამართლის (მოდიფიცირებულ სუბიექტთა) თეორიიდან გამომდინარე, „ს.მ.ს.შ.“ საქ. კანონის 10.1. მუხლი არის საჯარო-სამართლებრივი, რადგან ხელშეკრულება დადებულია საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რის მისაღწევადაც საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და არა ნებისმიერ პირს.

ამას გარდა, ხელშეკრულების დასადებად, თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით განისაზღვრა ხელშეკრულების ფორმა. სპეციალური სამართლის (მოდიფიცირებულ სუბიექტთა) თეორიიდან გამომდინარე, „ს.ვ. და ს.ს.შ.“ საქ. კანონის 2.4. მუხლი არის საჯარო-სამართლებრივი, რადგან საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასავლელად ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების უფლება აქვს არა ნებისმიერ პირს, არამედ მხოლოდ თავდაცვის მინისტრს.

4. დასკვნა:

ზემოხსენებული კონტრაქტი დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რადგან შალვამ იკისრა საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება და ამავდროულად ხელშეკრულება დადებულია საჯარო-სამართლებრივი ნორმების შესასრულებლად.

გ. ორმხრივი ნება:

1.ჰიპოთეზა:

სავარაუდოდ ზემოხსენებული კონტრაქტის დადებისას გამოხატული იქნა ურთიერთთანმხვედრი ორმხრივი ნება.

2.სამართლის ნორმა (დეფინიცია):

ორმხირივი ნების გამოსახატად, ხელშეკრულების ერთმა მხარემ მეორეს უნდა მიმართოს ოფერტით ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებით, ხოლო მეორე მხარემ უნდა გამოხატოს აქცეპტი, თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე.

3.სუბსუმცია:

მოცემულ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა ოფერტი, როდესაც თავდაცვის მინისტრმა 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციას დაავალა შალვა ნუცუბიძესთან ხელშეკრულების გაფორმება, რაც აღსრულებულ იქნა შალვას გაეგზავნა თავდაცვის სამინისტროს

უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ უკვე ხელმოწერილი ხელშეკრულება, ხოლო ამ უკანასკნელმა 2013 წლის 25 აპრილს გამოხატა აქცეპტი ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გზით.

4. დასკვნა:

ზემოხსენებული კონტრაქტის დადებისას, თავდაცვის სამინისტროსა და შალვა ნუცუბიძეს მიერ, გამოხატული იქნა ურთიერთთანმხვედრი ორმხრივი ნება.

(4) შუალედური დასკვნა:

თავდაცვის სამინისტროსა და შალვა ნუცუბიძეს შორის გაფორმებული კონტრაქტი არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, შევამოწმოთ მისი ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

ფორმალური კანონიერება

(1) ჰიპოთეზა:

სავარაუდოდ დარღვეული არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური კანონიერება.

(2) სამართლის ნორმა (დეფინიცია):

ადმ. ხელშეკრულების ფორმალური კანონიერებას ვამოწმებთ სამი კრიტერიუმის მიხედვით:

ა. ორმხრივი ნება;

ბ. ხელშეკრულების ფორმა;

გ. მესამე პირისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა.

(3) სუბსუმცია:

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, კონტრაქტის გაფორმებისას გამოხატული იქნა ორმხრივი ნება, ამდენად აღნიშნულ საკითხს აღარ განვავრცობ. ამას გარდა, კაზუსში არ არის მითითებული რაიმე ისეთი ინფორმაცია, რომელიც მიგვანიშნებდა ხელშეკრულების ფორმის დარღვევაზე ან ხელშეკრულების დასადებად მესამე პირისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობის საჭიროებაზე. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, ეს კრიტერიუმები დაცულია.

(4) დასკვნა:

დარღვეული არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური კანონიერება.

მატერიალური კანონიერება

(1) ჰიპოთეზა:

სავარაუდოდ დარღვეულია ადმინისტრაციული ხელშეკრულების მატერიალური კანონიერება.

(2) სამართლის ნორმა (დეფინიცია):

ადმ. ხელშეკრულების მატერიალურ კანონიერებას ვამოწმებთ ორი კრიტერიუმის მიხედვით:
ა. სამოქალაქო და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებთან შესაბამისობა;
ბ. კონსტიტუციასთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

(3) სუბსუმცია:

ა. სამოქალაქო და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებთან შესაბამისობა:

1. ჰიპოთეზა:

სავარაუდოდ ზემოხსენებული კონტრაქტი არ შეესაბამება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექს.

2. სამართლის ნორმა:

სზაკ-ის 66.2. და 66.1. მუხლები.

3. სუბსუმცია:

სზაკ-ის 66.2. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას. ზემოხსენებული კონტრაქტი კი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რის გამოც დაირღვა 66.2. მუხლი. ხოლო ის, თუ რა ნაწილში ეწინააღმდეგება ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობას, მითითებული იქნება მატერიალური კანონიერების შემოწმების მეორე სტადიაზე.

ამას გარდა, 66.1. მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა მხოლოდ კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს ნების აბსოლიტურ ავტონომიას. მოცემულ შემთხვევაში კი თავდაცვის სამინისტრომ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ იგი გასცდა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, რის გამოც დაირღვა 66.1. მუხლი. ხოლო ის, თუ რამ გამოიწვია სამინისტროს უფლებამოსილების ფარგლების გაცდენა, მითითებული იქნება მატერიალური კანონიერების შემოწმების მეორე სტადიაზე.

4. დასკვნა:

ზემოხსენებული კონტრაქტი არ შეესაბამება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექს.

ბ. კონსტიტუციასთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობა:

1. ჰიპოთეზა:

სავარაუდოდ ზემოხსენებული კონტრაქტი არ შეესაბამება კანონმდებლობას.

2. სამართლის ნორმა:

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.1; ასევე, 11.4. მუხლები და საქართველოს კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 14.1. მუხლი.

3. სუბსუმცია:

ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ შალვას ყოველკვირეული სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა შეადგენდა 50 საათს, მაშინ, როდესაც „ს.მ.ს.შ.“ საქ. კანონის 11.1. და შრომის კოდექსის 14.1. მუხლებიდან გამომდინარე, სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს.

ამას გარდა, ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ შალვას უფლება ჰქონდა ესარგებლა ყოველწლიური შვებულებით არაუმეტეს 25 კალენდარული დღისა, მაშინ, როდესაც „ს.მ.ს.შ.“ საქ. კანონის 11.4. მუხლიდან გამომდინარე, შალვას უფლება ჰქონდა ესარგებლა ყოველწლიური შვებულებით 30 კალენდარული დღის ოდენობით.

4. დასკვნა:

ზემოხსენებული კონტრაქტი არ შეესაბამება კანონმდებლობას.

(4) დასკვნა:

დარღვეულია ადმინისტრაციული ხელშეკრულების მატერიალური კანონიერება.

საბოლოო დასკვნა:

თავდაცვის სამინისტროსა და შალვა ნუცუბიძეს შორის გაფორმებული კონტრაქტი არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება და მისი დადებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია მატერიალური კანონიერება.

სზაკ-ის 67-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების დარღვევის მაგალითი კაზუსი

სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურმა“ და სანდრო შერმადინმა დადეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლითაც სანდროს მიენიჭა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უფლება. საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს როგორც სანდროს მიწის ნაკვეთზე, ასევე სანდროს მეზობლის გიორგის მიწის ნაკვეთზეც. გიორგის კი წერილობით თანხმობა არ გამოუთქვამს, რომ მის ნაკვეთზე სანდროს აეშენებინა საცხოვრებელი სახლი.

ვინაიდან ხელშეკრულება სანდროს უფლებას აძლევს ააშენოს შენობა გიორგის მიწის ნაკვეთზე, გიორგის თანხმობის გარეშე, ხელშეკრულება ზღუდავს გიორგის უფლებას. ამ უკანასკნელის გამო კი ირღვევა სზაკ-ის 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და ხელშეკრულება ძალაში ვერ შევა გიორგის თანხმობის გარეშე.

სანდრო ყავს კიდევ ერთი მეზობელი ნიკა, რომელსაც აქვს სასტუმრო აშენებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე და მიიჩნევს, რომ სანდროს მიერ სახლის აშენება გააუარესებს სასტუმროს ხედს აივნებიდან და შეამცირებს სასტუმროს კლიენტთა რაოდენობას. ნიკას არ აცნობეს ხელშეკრულების დადებამდე ხელშეკრულების შესახებ.
ნიკას თანხმობა საჭირო არაა ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად, რადგან მისი არც უფლება იზღუდება და მას არც ვალდებულება ეკისრება განსხვავებით გიორგისგან, მაგრამ როგორც გიორგისთვის ასევე ნიკასთვის ხელშეკრულების დადებამდე უნდა ეცნობებინათ ხელშეკრულების შესახებ, რადგან ხელშეკრულება ზეგავლენას ახდენს ნიკას კანონიერ ინტერესზე. რომ არ აცნობეს ნიკას აღნიშნულის შესახებ, ამით ადმ. ორგანომ დაარღვია სზაკ-ის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მაგრამ არა პირველი.

ორივე მეზობელი უჩივის სანდროს.

დასკვნა: სანდროს ყავს ინტრიგანი მეზობლები :)